საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/297

ქ. ბათუმი 16 დეკემბერი, 2022 წ.

,,მწვანე სტიპენდიის" მიმღებ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2022 წლის 22 ივლისს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის 2.1. პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად 2022 წლის დეკემბერში გაფორმებული ,,**მწვანე სტიპენდიის დაფინანსების ხელშეკრულების**" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **,,მწვანე სტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს** სამაგისტრო პროგრამის (,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება", ,,ეკოლოგია") 3 სტუდენტის შერჩევა **განხორციელდეს 2022 წლის 19 დეკემბერს,** სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან" გაფორმებული ,,**მწვანე სტიპენდიის დაფინანსების ხელშეკრულების" შემდეგი პირობების შესაბამისად:**

   ა) კანდიდატს სამაგისტრო პროგრამაზე (,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება", ,,ეკოლოგია") სწავლის პროცესში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი)კრედიტი და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები;

   ბ) 2022-23 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შესაბამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი

   გ) კანდიდატმა უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი;

   დ) უპირატესობა მიენიჭოს იმ კანდიდატს, რომელსაც წარდგენილი აქვს სამეცნიერო ნაშრომი საუნივერსიტეტო/სტუდენტურ კონფერენციებზე.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის უზრუნველყოს:**

   ა) ,,მწვანე სტიპენდიის" შესარჩევი პროცესის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის, მათ მიერ ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა-დ" ქვეპუნქტებში აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით;

   ბ) ,,მწვანე სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევა (ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შეიქმნას შესარჩევი კომისია) შერჩევის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა - **არაუგვიანეს 2022 წლის 19 დეკემბრისა;**

გ) სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის' ინფორმირება ,,მწვანე სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევის საფუძველზე გამოცემული სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესახებ, ასევე ცენტრის მიერ ჩამორიცხული თანხის შესაბამისი სტუდენტებისათვის მწვანე სტიპენდიის ჩარიცხვის თაობაზე ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარდგენა.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ შერჩეულ კანდიდატებს** ,,მწვანე სტიპენდია" დაენიშნოთ <u>**არაუგვიანეს 2022 წლის 20 დეკემბრისა.**</u>
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**